

ლურჯი მოცვის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში

მარინა ჩავლეიშვილი

ასოციირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
marina.chavleishvili@tsu.ge

მსოფლიოში კენკროვანი კულტურების ნაყოფზე, მათ შორის - ლურჯ მოცვზე მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია შეინიშნება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, არაბეთის გაერთიანებულ ემირატები და სხვ. დღეისთვის, მსოფლიოში წარმოებული ლურჯი მოცვი ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნას. ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი ლურჯი მოცვის ექსპორტი გაორმაგდა. თუმცა, მზარდი ბაზრის კვალდაკვალ, ბევრ რეგიონში არსებული რესურსები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული.

საქართველოს აღმოაჩნდა ლურჯი მოცვის წარმოების საუკეთესო ნიადაგურ-კლიმატური პირობები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი ნედლეულის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, არსებული ვითარება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ლურჯი მოცვის წარმოებისა და მისი სამომავლო განვითარების ანალიზს. მნიშვნელოვანია შეფასდეს ქვეყნის პოტენციალი ამ მიმართულებით, დადგინდეს წარმოების ეფექტიანობის პარამეტრები, მოხდეს საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და ცნობადობის ამაღლება.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ლურჯი მოცვის წარმოების შესაძლებლობები, ბაზრის ანალიზი და მისი განვითარების ტენდენციები; შეფასებულია ლურჯი მოცვის მსოფლიო ბაზარი, არსებული მდგომარეობა. გაანალიზებულია ლურჯი მოცვის საექსპორტო პოტენციალი, საერთაშორისო ბაზარზე სამომავლო პერსპექტივები, წარმოდგენილია SWOT შეფასება. საქართველოში წარმოებული ლურჯი მოცვის საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად გამოვლენილია მისი პოტენციური უპირატესობები, სუსტი მხახეები, შესაძლებლობები და საფრთხეები; ჩატახებული კვლევა დაეხმარება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, რათა სრულყოფი-

ლად გაანალიზონ სამომავლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პერსპექტიული კულტურის – ლურჯი მოცვის წარმოებისა და განვითარების შესაძლებლობები. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ლურჯი მოცვის წარმოება, ლურჯი მოცვის მსოფლიო ბაზარი, მოცვის ექსპორტი-იმპორტი, ლურჯი მოცვის ფასი.

Jel Codes: R30, R31, R32.

შესავალი

მსოფლიოში კენკროვანი კულტურების ნაყოფზე მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია შეინიშნება. აღნიშნული კულტურების წარმოების შესაძლებლობები ბევრ ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოსაც გააჩნია. ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი კენკრის იმპორტი გაორმაგდა. თუმცა, მზარდი ბაზრის კვალდაკვალ, ბევრ რეგიონში არსებული რესურსები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული. პროდუქტის მოხმარება განსაკუთრებით გაზრდილია ევროკავშირში, ჩინეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში და სხვ. ბუნებრივია, ამ მხრივ, ცვლილებები შეინიშნება საქართველოშიც. ამკარაა, რომ კენკროვანი კულტურების ნაყოფების წარმოების მასშტაბები იზრდება. ქართველი მენარმეები ცდილობენ პროდუქტი ევროპის და სხვა რეგიონის მომხმარებლებს შესთავაზონ. კენკროვან კულტურებში, წარმოებისა და გამოყენების მხრივ, მაღალი ხვედრითი წონა მარწყვს გააჩნია, მაგრამ თანდათან იზრდება ლურჯ მოცვზე (Blueberrys) მოთხოვნა.

საქართველოს ბაზრისთვის მოცვი შედარებით ახალი კულტურაა, რომელიც ქვეყანაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მოცვს, როგორც სხვა კენკროვნებს, გამოყენების ფართო და მრავალმხრივი შესაძლებლობა აქვს. ის მოიხმარება როგორც ხილი, ასევე საუკეთესო ნედლეულია გადამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის. კულტურას, გამოყენების თვალსაზრისით, უნიკალური თავისებურებები გააჩნია. მისი ნაყოფი მდიდარია აუცილებელი ორგანული მჟავებით, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი მინერალებით, ვიტამინებით, აქვს ბაქტერიოციდული მოქმედება (შენგელია ზ. 1983), შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რაც ამცირებს თრომბოზისა და მიოკარდიუმის ინფარქტის რისკს, ხელს უწყობს ბადურის უჯრედების რეგენერაციას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევასა და მხედველობას და სხვა. კვლევებმა დაადასტურა, რომ მისი სისტემური გამოყენება კვებას თავის ტვინს და აძლიერებს გონებრივ შესაძლებლო-

ბებს. ყველა ეს თვისება მოცვის კულტურას აფასებს, როგორც დაბერების ხანინაალმდეგო საშუალებას (დათეშიძე ლ. 2000).

საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა ბაზარს მიენოდოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი მოცვის პროდუქტი. ქვეყანაში არსებული მოცვის სახეობიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ლურჯი მოცვი, რომლის ექსპორტი ბოლო ხუთი წელია საგრძნობლად გაიზარდა. მოცემული ვითარება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ლურჯი მოცვის წარმოებისა და მისი სამომავლო განვითარების შესაძლებლობების კვლევას. აღნიშნული კულტურა ახალია და არ არის ენდემური ქართული აგრარული სფეროსთვის. ამდენად, კვლევის მიზანია ლურჯი მოცვის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პოტენციალის შეფასება.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, შევისწავლეთ ლურჯი მოცვის მსოფლიო ბაზარი, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი, საერთაშორისო ბაზარზე სამომავლო პერსპექტივები, წარმოვადგინეთ SWOT ანალიზი, კერძოდ, გამოვავლინეთ პოტენციური უპირატესობები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

ლურჯი მოცვის მსოფლიო ბაზარი

მსოფლიო ბაზარზე კენკროვანი კულტურების და მათ შორის, ლურჯი მოცვის წარმოება იზრდება. ბაზარზე ლიდერთა შორის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებია სამხრეთ ნახევარსფეროდან, თუმცა, წარმოების სწრაფი ზრდა შეინიშნება ევროპაშიც (ესპანეთი, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა). მიუხედავად ლურჯი მოცვის წარმოების გაზრდილი მაჩვენებლებისა, მსოფლიო ბაზარზე მასზე მოთხოვნა გაცილებით დიდია, ვიდრე მისი მიწოდება.

ლურჯი მოცვის წარმოებაში ლიდერი ქვეყნებია აშშ და კანადა. FAO-ს 2019 წლის მონაცემებით, ლურჯი მოცვის მსოფლიო წარმოება 823 328 ტონას შეადგენს. მთლიანი წარმოების 37.5% აშშ-ზე, ხოლო კანადაზე - 21.4% მოდის. მომდევნო ადგილზეა პერუ -17.3%-ით. მთლიანობაში სამივე ქვეყანაზე წარმოებული ლურჯი მოცვის 76.2% მოდის, მათ შორის, ნახევარზე მეტი აშშ-სა და კანადის (58.9%) წილია. ასევე, ლურჯი მოცვის წარმოების თვალსაზრისით გამოირჩევა შემდეგი ქვეყნები (იხ. ცხრილი1): პოლონეთი, ესპანეთი, მექსიკა, გერმანია, პორტუგალია, ნიდერლანდები და სხვა (FAO, 2019). 2019 წელს, 2008 წლის ოფიციალურ მონაცემებთან მიმართებით, მსოფლიოში ლურჯი მოცვის წარმოება 2.8-ჯერ არის გაზრდილი, კერძოდ - 290926 ტონიდან 823328 ტონამდე.

მსოფლიოში ლურჯი მოცვის წარმოება (ფართობი, მოსავალი, მოსავლიანობა)

ცხრილი 1

№	ქვეყნები	2019				
		ჰექტარი(ჰა)	კგ/ჰა	ტონა	ჰა(%)	ტონა(%)
1	აშშ	41560	74293	308760	34.9	37.5
2	კანადა	40623	43356	176127	34.14	21.4
3	პერუ	8502	167522	142427	7.14	17.3
4	პოლონეთი	8480	41002	34770	7.12	4.2
5	მეხიკო	4319	113450	48999	3.63	5.1
6	ესპანეთი	4030	132457	53380	3.38	6.5
7	გერმანია	3160	46994	14850	2.65	2.0
8	პორტუგალია	1930	67306	11060	1.62	1.4
9	ავსტრალია	1675	36770	6159	1.40	1.0
10	ნიდერლანდები	1110	99640	11060	0.93	1.5
11	ახალი ზელანდია	755	47762	3606	0.63	0.4
12	რუსეთის ფედერაცია	663	52790	3500	0.55	0.4
13	ლატვია	510	9216	470	0.421	0.1
14	უკრაინა	500	47800	2390	0.42	0.3
15	ხორვატია	290	12414	360	0.24	0.1
16	რუმინეთი	210	29048	610	0.17	0.1
17	ავსტრია	200	67500	1350	0.16	0.2
18	ლიეტუა	200	20500	410	0.16	0.1
19	ბელგია	170	47059	800	0.14	0.1
20	შვეიცარია	104	53942	561	0.08	0.07
21	უზბეკეთი	93	71935	669	0.07	0.08
22	დანია	80	16250	130	0.06	0.02
23	ფინეთი	80	150000	200	0.06	0.03
24	სხვა ქვეყნები	228	126921	680		
24	სლოვენია	60	48333	290	0.05	0.04
25	სლოვაკეთი	50	26000	130	0.04	0.02
26	შვედეთი	40	22500	90	0.03	0.01
27	უნგრეთი	40	10000	40	0.03	0.01
28	მაროკო	19	45263	86	0.01	0.01
29	ნორვეგია	19	23158	44	0.01	0.01
	სულ	118 962	6.9209	823328	100	100

მსოფლიოში ღურჯი მოცვის საერთო ფართობია 118 962 ჰა, მათ შორის აშშ-სა და კანადაზე დაახლოებით 69% მოდის. შემდეგ ადგილს, თითქმის თანაბარი მაჩვენებლებით, პერუ (7.14%) და პოლონეთი (7.12%) იკავებს. მოცვის ბაზარზე ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებად რჩება აშშ, კანადა, პოლონეთი, უკრაინა, ჰოლანდია, გერმანია.

როგორც აღვნიშნეთ, ბაზარზე ლიდერი და მთავარი კონკურენტი ქვეყანაა აშშ. მწარმოებლებთან განსაკუთრებით მაღალი კონკურენციაა მოსალოდნელი ჩრდილოეთ ამერიკაში პიკის სეზონის დროს. ქვეყნებში, სადაც მოსავლის აღება იწყება ადრე ან გვიან, შეიძლება წარმატებული თანამშრომლობა ამერიკელ საცალო მოვაჭრეებთან, რომელთა მხრიდან ღურჯ მოცვზე მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. ღურჯი მოცვის ყველაზე მაღალი მოხმარება აშშ-შია, სადაც აღნიშნულ პროდუქტს მოხმარებელთა 30% წლის ნებისმიერ დროს ყიდულობს, მაგრამ თუ შევადარებთ მარწყვს, უნდა აღინიშნოს, რომ მას წლის განმავლობაში ამერიკული ოჯახების 70% იძენს (ჩავლეიშვილი მ. 2012, 515). თუმცა, მოცვი თანდათან პოპულარული კულტურა ხდება მსოფლიოში, რასაც ბოლო წლებში მისი მოხმარების სწრაფი ტემპით ზრდა ადასტურებს.

2020–2021 წლებში მოცვის ექსპორტი განსაკუთრებით წარმატებული გახდა სამხრეთ ნახევარსფეროში, კერძოდ, განხორციელდა 312,000 ტონაზე მეტი მოცვის ექსპორტი, რომელიც წინა სეზონთან შედარებით 20% - ით გაიზარდა. ექსპორტი განახორციელა მსხვილმა ექსპორტიორმა ქვეყნებმა: პერუ, ჩილე, სამხრეთ აფრიკა და კოლუმბიამ. სტატისტიკა აჩვენებს, რომ პერუ რჩება მოცვის უმსხვილეს ექსპორტიორად სამხრეთ ნახევარსფეროში, მან განახორციელა ნედლი მოცვის ექსპორტი 160.000 ტონა, მისი წლიური ზრდა იყო 36%. სამხრეთის ქვეყნებიდან მეორე დიდი ექსპორტიორი ქვეყანაა ჩილე. ამავე პერიოდში მისმა ექსპორტმა შეადგინა 118.000 ტონა პროდუქტი, რაც წინა წელთან შედარებით, 8%-ით არის გაზრდილი. მან გაზარდა ფართობი, რომელიც გაყინული პროდუქტისთვის იყო განკუთვნილი. გაყინული მოცვის ექსპორტის ძირითადი ზრდა პერუდან მოდის, ჩილემ ასევე შეინარჩუნა სტაბილური ექსპორტი. სამხრეთ ნახევარსფეროს სხვა ქვეყნები მხოლოდ მცირე მოცულობით ექსპორტს ახორციელებდა. ჩილეს აქვს უპირატესობა ბაზრის განაწილების თვალსაზრისით, უფრო დიდი დაფარვით აზიასა და ოკეანეთში.

მოცვის ბაზარზე იზრდება ექსპორტი სამხრეთ ნახევარსფეროდან, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე წამყვანი ადგილი ჩრდილოეთ ამერიკას უკავია. ის ყველაზე დიდი ბაზარია, რომელზეც 2020–2021 წ.წ. მოდიოდა მოცვის ექსპორტის 55% -ზე მეტი. გასულ სეზონთან მიმართებით მაჩვენებელი 21%-ით არის გაზრდილი (2020–2021 Blueberry Yearbook ...). აშშ-ში ნედლი მოცვის მიწოდება სტაბილურად ზრდადია როგორც იმპორტის, ასევე

ადგილობრივი წარმოების თვალსაზრისით. ასევე გაიზარდა მიწოდება ჩინეთის ბაზარზეც.

ამდენად, მოცვის გლობალური მიწოდება მრავალფეროვანია, ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდამ გავლენა მოახდინა სამხრეთ ნახევარსფეროს ექსპორტიორებზე. აშშ-ში მოცვის მიწოდებას განსაზღვრავს ადგილობრივი წარმოება და მექსიკა, ხოლო – ევროპაში ადგილობრივი მიწოდება ესპანეთიდან და მაროკოდან მოდის. ჩინეთში ასევე არის შიდა კონკურენცია ადგილზე მოყვანილი სათბურის მოცვისგან, რომელიც ბოლო წლებში ზრდადი ტრენდით ხასიათდება.

საქართველოში ლურჯი მოცვის წარმოების პოტენციალისა და საექსპორტო შესაძლებლობების შეფასება

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოში მოცვის წარმოების მასშტაბები თანდათან იზრდება. ჩვენი ქვეყნისთვის მოცვი არ არის ენდემური კულტურა, თუმცა, ველური ფორმით მისი მოპოვება და გამოყენება საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. მას, როგორც უმეტესი კენკროვნების დიდ ნაწილს, მოსახლეობა ტყეში კრეფდა. მოცვი 100-მდე სახეობას აერთიანებს. საქართველოში ამ გვარის 4 სახეობა გვხვდება (საქართველოს ფლორა...): მთის მოცვი, ლურჯი მოცვი და წითელი მოცვი (სუბალპურ და ალპურ სარტყელში), კავკასიური მოცვი (კოლხური ტიპისა და ჩრდილო- აღმოსავლეთის ტყეებში).

საქართველოში ლურჯი მოცვის კულტურის გაშენება 2006 წლიდან დაიწყო. ქვეყანაში მოცვი პოპულარული კულტურა გახდა. თავდაპირველად ნერგები აშშ-დან შემოიტანეს. კულტურა წარმატებით შეეთვისა საქართველოს კლიმატს, კერძოდ, სუბტროპიკული ზონის ტენიან პირობებს. თავდაპირველად საცდელი ნაკვეთები გაშენდა გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში, ასევე კასპსა და ქუთაისში. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მოცვის წარმოების განსაკუთრებით დიდი პოტენციალი დასავლეთ საქართველოშია, მათ შორის, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ნიადაგური და კლიმატური პირობები არის გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში. საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვი გამოირჩევა განსაკუთრებული ხარისხით, გემოთი, რომელიც მნიშვნელოვანია მისი საექსპორტო პოტენციალის შეფასებისთვის. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოში წარმოებული ლურჯი მოცვი კლიმატური პირობების წყალობით შესაძლებელია მივიღოთ ერთი თვით ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეს გასაღების რეალური ბაზრის არსებობის საფუძველს ქმნის, რაც შესაძლებლობას იძლევა მწარმოებლებმა მიიღონ გარანტირებული შემოსავალი.

საქართველოში ძირითადად გაშენებულია ლურჯი მოცვი, რომელსაც სიმწიფის სხვადასხვა პერიოდი აქვს. საადრეო ჯიშებია (მაისი-ივნისი): ონელი, მისტი, დიუკი, ტორო; საშუალო სიმწიფის (ივნისი - ივლისი): ლუკროპი, ლეგასი, ბერკლი, პატრიოტი, ბრიგიტა ბლუ, სანრაისი, ელიზაბეტი, ერლი ბლუ, ბლუგოლდი, ჩენდლერი, შანტეკლერი, რეკა, პრემიერი, ოზარკ ბლუ; საგვიანო ჯიშები (ივლისი-აგვისტო): სპარტანი, ბრაიტველი, კლაიმაქსი. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საქართველოს პირობებისათვის შერჩეული და რეკომენდებულია ორი ჯიშ: ლეგასი და ბლუკროპი (მოცვის წარმოების...2020). ლურჯი მოცვი კარგად ხარობს მჟავე ნიადაგზე, რომელიც განოყიერების გარეშე სხვა კულტურებისთვის გამოუსადეგარია. ლურჯი მოცვის მოსავლიანობა ჰექტარზე 8-12 ტონის ფარგლებში მერყეობს, ერთი კგ. ნაყოფის ადგილზე სარეალიზაციო ფასია \$3-5. საბაზრო ღირებულება გაცილებით მაღალია. საცალო სარეალიზაციო ქსელში, მაგალითად, სავაჭრო ცენტრ „გუდვილში“ და „ნიკორაში“ ზოგჯერ მისი ფასი 30—35 ლარის ფარგლებშია. ევროკავშირში საშუალო ფასი 4-10 ევრომდე მერყეობს. 2020-2021 წლის მონაცემებით, საქართველოში 1 კგ. ლურჯი მოცვის ფასი \$5-9-ის ფარგლებშია. ნათელია, რომ ლურჯ მოცვს საქართველოში დიდი პერსპექტივა გააჩნია, იგი რენტაბელურია და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში შეუძლია გააუმჯობესოს ფერმერთა მდგომარეობა. მცენარე დარგვიდან 2-3 წელიწადში იძლევა მოსავალს და საშუალოდ ერთი ნერგი 1-2 კგ., ხოლო სრული მოსავლის პირობებში – 6-8 წლიანი ნერგი 4-6- კგ-ზე მეტ მოსავალს იძლევა. ბალის კომერციული გამოყენების პერიოდი 35-40 წელია. მსხმოიარობაში ადრე შესვლასთან ერთად, კენკროვანთა ნაყოფი ადრევე შედის სიმწიფეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ნედლი ხილით მომარაგებაში. შედარებით ადვილად მრავლდება ვეგეტაციური წესით - კალმით, ამონაყრით, გადანვენით. ლურჯი მოცვის ბიზნესის დაწყება შედარებით მაღალ ინვესტიციებს მოითხოვს, მაგრამ სწორი მენეჯმენტისა და მარკეტინგული შესაძლებლობების შეფასების შემთხვევაში, ის მაღალ შემოსავალს იძლევა. მოცვის წარმოების დასაწყებად აშშ-ში ერთ აკრზე (4047 კვ.მეტრი) \$6 000-დან \$8 000-მდეა საჭირო (რიჩარდ დ. 2007, 5). საქართველოში მცირე ზომის ფერმერული მეურნეობისათვის ეს თანხა დასაწყისისთვის შედარებით მაღალია. ჰა- ზე გაანგარიშებით, ბალის გაშენების დანახარჯები დაახლოებით 34 000 - 39 000 ათასი ლარს უტოლდება, ყოველწლიური დანახარჯი 5000-7000 ლარია. ჰა-ზე გადაანგარიშებით საშუალო შემოსავალი სრულმსხოიარე ფართობიდან დაახლოებით 40 000 - 50 000 ლარის ფარგლებში მერყეობს. ჰა-ზე საშუალოდ შესაძლებელია დაახლოებით 3000-3300 ნერგის დარგვა (ლურჯი მოცვი...2021). საქართველოს პირობებში შეიძლება დადებით მხარედ ჩაითვალოს ის, რომ ნერგი ხელმისაწვდომია და მცენარე კარგად ეგუება ქვეყნის კლი-


მატურ პირობებს, ამასთან, მაღალია ალბათობა იმისა, რომ უკვე მესამე წელს მივიღოთ მოგება, რომელიც მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

საქართველოში, 2006 წლიდან დღემდე, ლურჯი მოცვის წარმოების მასშტაბები იზრდება. გაშენდა ახალი ფართობები. 2017 წლის მონაცემებით საქართველოში მოცვის პლანტაციები დაახლოებით არის 205 ჰა, ხოლო მთლიანმა მოსავალმა დაახლოებით 249 ტონა შეადგინა. 2020 წელს საგრძნობლად გაიზარდა მოსავალი, რომელმაც 700 ტონას მიაღწია. მიმდინარე, 2021 წელს მოლოდინია მოსავალი 1500 ტონამდე გაიზარდოს. აღნიშნული ტემპით, ექსპერტების ვარაუდით, არსებული ფართობების პირობებში მომდევნო სამი წლის განმავლობაში წარმოებამ შეიძლება 4000 ტონას მიაღწიოს.

ეტაპობრივად იზრდება საქართველოდან ლურჯი მოცვის ექსპორტი. პანდემიის მიუხედავად, 2020 წელს ლურჯი მოცვის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 2016 წლის მაჩვენებელს დაახლოებით 2-ჯერ გადააჭარბა (იხ. დიაგრამა 1).

ლურჯი მოცვის ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)

დიაგრამა 1




წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2020 წელს ლურჯი მოცვის ექსპორტი შემდეგ ქვეყნებში განხორციელდა: რუსეთი (3.5 მლნ დოლარი), სომხეთი (78.2 ათასი დოლარი), არაბთა გაერთიანებული საამიროები (57.5 ათასი დოლარი), პოლონეთი (54,0 ათასი დოლარი), უკრაინა (23.1 ათასი დოლარი) და ყატარი (16.8 ათასი დოლარი). 2016 წელთან შედარებით, 2020 წელს, თითქმის 2-ჯერ არის გაზრდილი ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი (იხ. დიაგრამა 2)

ქართული მოცვის ექსპორტი (ქვეყნები, 2020 წელი)

დიაგრამა 2



წყაიხი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცვის ექსპორტი დინამიკაში ქვეყნის მასშტაბით ზრდადია, ასევე ფართოვდება საექსპორტო ბაზრებიც. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, საექსპორტო ქვეყნებს დაემატა არაბთა გაერთიანებულ ემირატები, პოლონეთი, ყატარი, უკრაინა (იხ. ცხრილი 2)

საქართველოდან ღუჯი მოცვის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი 2

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ექსპორტი, სულ	215	475	477	445	983	3,823
რუსეთი	97	437	403	243	817	3,593
სომხეთი	-	1	9	10	43	78
არაბთა გაერთიანებული ემირატები	-	17	37	94	98	58
პოლონეთი	60	-	-	-	-	54
უკრაინა	-	-	16	37	-	23
ყატარი	-	-	10	52	14	17
დანარჩენი ქვეყნები	58	20	2	10	12	-

წყაიხი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში ღუჯი მოცვის წარმოებას განსაკუთრებული მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოს მხრიდან. თავდაპირველად, კერძოდ 2010-

2013 წწ.-ში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, პილოტური პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა მოცვის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც სს „სოფლის მეურნეობის კორპორაციაში“ დაიწყო. პროგრამის მიზანი იყო საქართველოში განავითაროს მოცვი, როგორც ახალი პროდუქტი, კერძოდ - პირველადი წარმოება, წარმოების მოტივაციის შექმნა საქართველოს მასშტაბით, სანერგე მასალის გამოყვანა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე საქართველოში წარმოებული პროდუქტის პოპულარიზაცია.

პროგრამის ფარგლებში დაიწყო ლურჯი მოცვის სადემონსტრაციო ბაღების გაშენება აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში. ამით საფუძველი ჩაეყარა კონკურენტუნარიანი ლურჯი მოცვის წარმოების განვითარებას, ამაღლდა ფერმერთა მოტივაცია, რაც შესაძლებელს გახდის უცხოური და ადგილობრივი ინვესტორების მოზიდვასაც.

წარმატებით ხორციელდება პროგრამის „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ლურჯი მოცვის წარმოების წახალისება დაინტერესებული პირებისათვის. პროგრამის ბაღების კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრულია ლურჯი მოცვის გაშენება შემდეგ რეგიონებში: გურია, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი. ფინანსდება ნერგების ღირებულების 70%, სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კომპერატივებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - 80%. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განაცხადები მიიღებოდა 2020 წლიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით. „კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი“ ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების 100% დაფინანსებას 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-ს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე (დანერგე მომავალი...). ფინანსების მოცულობა და 0.5 ჰა-ზე დასარგავი ნერგების რაოდენობა ლურჯი მოცვისთვის შედეგაირად არის განსაზღვრული: მაქსიმალური ნერგების ოდენობა (0,5 ჰა-ზე გაანგარიშებით) - 1500, დაფინანსების მაქსიმალური რაოდენობა ადგილობრივი ბაზრის გათვალისწინებით 7 ლარი ერთეულ ნერგზე, იმპორტირებული ნერგისთვის 8.8 ლარი (აშშ/ ევროკავშირი), ხოლო სხვა დანარჩენი მსოფლიო - 7.8 ლარი; ფინანსდება ნერგის ღირებულების 100%.

დღეისათვის, საქართველოში ლურჯი მოცვის ნერგებს – პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში უზრუნველყოფს შპს „აგრო-აგორა“ (ზუგდიდი, რუხი), შპს „სტალკერ“(ბათუმი), რკ „ქართული ნერგები“ (ლაგოდეხი, საქობო) და შპს „მწვანე ოსტატი“ (აბაშა, წყემი), შპს „საქართველოს აგრარული გაერთიანება“ (გურჯაანი, ველისციხე). იმპორტირებული ნერგების მომწოდებელი კომპანიებია შპს „ბლუბერი“, შპს „აგრო-აგორა“, შპს „საქართველოს აგრარული გაერთიანება“, შპს „მოცვის წარმოების პარტნიორი“.

ნერგების იმპორტი შემოდის შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, კადანა, გერმანია, პოლონეთი, ბელორუსი, უკრაინა.

ბაზარზე ყველაზე დიდი ერთიანი კომპანია, რომელიც ახორციელებს მენეჯმენტს ლურჯი მოცვის წარმოებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით, არის „ლურჯი ველი“. ის ოთხ კომპანიას აერთიანებს (შპს „მოცვი“, შპს „ქართული მოცვი“ და შპს „ჯეობერი“), რომლებიც ოზურგეთის რაიონში მოვლა-მოყვანის ერთნაირი ტექნოლოგიით მაღალხარისხიან ლურჯ მოცვს აწარმოებენ.

კომპანიამ „ლურჯი ველი“ 2019 წელს ლურჯი მოცვის პირველი კომერციული მოსავალი (დაახლოებით 65 ტონა) მიიღო. წარმოებაში გამოყენებულია სამი ძირითადი ჯიში: „ლეგასი“, „ონილი“ და „დიუკი“, რომელთაგან ყველაზე დაბალი მოსავალი დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ პირობებში აჩვენა „დიუკმა“. მიღებული მასავლის თითქმის 100% ექსპორტზე წავიდა. მოსავლის 10% შუამავლის (ბროკერები) მეშვეობით ევროკავშირის ბაზარზე გაიყიდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი რუსეთის ბაზარზე. საექსპორტო პერიოდია ძირითადად ივლისის თვე. ამ პერიოდისთვის მოცვის ფასები აღნიშნულ ბაზრებზე შესაბამისად არის \$8 და \$6.5. უკვე ივლისის ბოლოდან აგვისტოს თვეში მოცვის ჩაბარების ფასი კლებულობს დაახლოებით \$3-მდე.

ქართველი მწარმოებლებისთვის კენკროვანი კულტურების და, მათ შორის, ლურჯი მოცვის სარეალიზაციოდ 3 ძირითადი ბაზარი მოიაზრება: ევროკავშირი, რუსეთი და აღმოსავლეთის ქვეყნები. ევროკავშირის ბაზრებზე პროდუქტის ტრანსპორტირება თურქეთის სახმელეთო გზაზე გადის, რუსეთის ბაზარზე ტვირთის გადაადგილებას რუსული კომპანიები უზრუნვეყოფენ, სწორედ ამიტომ მათთვის მოცვის ჩაბარების ფასი, სატრანსპორტო ხარჯებიდან გამომდინარე, შედარებით დაბალია. რაც შეეხება აღმოსავლეთის ქვეყნებს, აქ პროდუქტის ექსპორტის ხელისშემშლელი ფაქტორია ტემპერატურული კონტროლით აღჭურვილი სატვირთო ტერმინალის ნაკლებობა. საჭაერო ტრანსპორტი ღირებულებით ძვირია, ასევე რთულია იქ ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, რაც დანაკარგებთან არის დაკავშირებული.

ამდენად, არსებობს ლოგისტიკური პრობლემები ახალი ბაზრების ათვისებისთვის, მაგალითად, ზოგიერთი რეგიონისთვის შესაძლებელია მხოლოდ საჭაერო ტრანსპორტის გამოყენება (მაგალითად, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, მალაიზია), რაც საკმაოდ 10ძვირია.

გამომდინარე აქედან, კომპანია ცდილობს ინვესტიციები ჩადოს ტექნოლოგიებში, კერძოდ, შეიძინოს მაღალტექნოლოგიური სამაცივრე აგრეგატები: ნაყოფის გადასაზიდი მანქანა-რეფრეჟერატორები, წინასწარი გაციების აგრეგატი და სამაცივრე საწყობი. აღნიშნული კომპანიას შესაძლებლობას მისცემს გააუმჯობესოს პროდუქტის ხარისხი. სამომავლოდ

დაგეგმილია მარკეტინგული მიმართულებით მუშაობა და ექსპორტის დივერსიფიკაცია, ასევე USAID-ის დახმარებით ლურჯი მოცვისთვის დახურულ გრუნტში გვირაბის აგება, რომელიც პროდუქტის წარმოებისას მინიმუმამდე დაიყვანს გარემო ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეულ რისკებს და გაჩნდება საშუალება მიიღონ საადრეო მოსავალი.

საქართველოს ბაზარზე ლურჯი მოცვის მწარმოებელი ერთ-ერთი კომპანიაა „GeorgianBlue“. აღნიშნული ბრენდით პროდუქტს ბაზარს კომპანია „ეფკო“ აწვდის. კომპანიის მიზანია, განახლებული ხედვითა და ტექნოლოგიებით, მსოფლიოს გააცნოს ქართული ლურჯი მოცვი, როგორც მაღალხარისხიანი პროდუქტი (ბრენდი). შპს „ეფკო“ 2019 წლიდან გურიაში (დაბა ლაითური) ფუნქციონირებს. კომპანია ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული აგრო ექსპორტიორია მსოფლიო ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე. შპს „ეფკო“-მ სოფლის განვითარების სააგენტოს დახმარებით გააშენა 36 ჰა ლურჯი მოცვის პლანტაცია. ასევე, კომპანია ფლობს 326 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელსაც ეტაპობრივად ითვისებს. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს „ეფკომ« ბიზნესი გააფართოვა, (ჰორიზონტალური ინტეგრაცია) და საპარტნიორო ფონდის მიერ გამართულ აუქციონზე შეიძინა ლურჯი მოცვის კომპანიის „ვანრიკ აგრო“ აქტივები (12,34 მლნ ლარი). მიმდინარე ეტაპზე კომპანიის წარმადობაა 600 ტონა ლურჯი მოცვის წარმოება („Georgianblue“... 2021).

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოში წარმოებული ლურჯი მოცვის ექსპორტი დამატებითი ღირებულების გარეშე ხდება, რაც გულისხმობს, რომ მოცვი პლანტაციიდან პირდაპირ გადის ექსპორტზე. კომპანიები იყენებენ სრულფასოვან „პოსტ-ჰარვესტ“ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს ნედლეულის სწრაფ გაგრილებას, სორტირებას, დაფასობას და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი წარმოების პროცესის დანერგვას. აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენება კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს ითანამშრომლონ მაღალი სტანდარტების საექსპორტო ბაზრებზე არამატრო რუსეთის, არამედ ევროკავშირის, აღმოსავლეთ აზიის, ყოფილი დსთ და სხვა ქვეყნების შემსყიდველებთან.

2020 წელს, კომპანიამ „GeorgianBlue“ USAID-ის დახმარებით წარმატებით დანერგა GLOBALGAP და GRASP სტანდარტები. აღნიშნული ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისთვის, კერძოდ, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კომპანია აწარმოებს უვნებელ, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტს და ბაზარზე ოპერირებს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით. კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს უცხოეთის მსხვილ სუპერმარკეტებთან, რომლებიც მზად არიან ფასნამატის გადახდისთვის, რომელსაც გაიღებენ სორტირებული, დაფასოებული და ბრენდირებული მაღალი ხარისხის პროდუქტისთვის. კომპა-

ნია გეგმავს პროდუქტის შესყიდვას და ექსპორტირებას სხვა ქართული კომპანიებისაგან, რომლებიც ვერ ახდენენ პროდუქტის ექსპორტს.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ლურჯი მოცვის წარმოებამ საქართველოში გაამართლა და მას დიდი პერსპექტივები გააჩნია. მართალია, აღნიშნული კულტურა არ არის ენდემური ჯიში, მაგრამ პილოტურმა პროექტმა მოცვის წარმოების შესახებ და ექსპერტების რჩევამ ეფექტიანი შედეგები მოიტანა საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოკლედ შეიძლება წარმოვადგინოთ ლურჯი SWOT ანალიზი:

- ძლიერი მხარეებია: ხელსაყრელი ბუნებრივი (კლიმატი, ნიადაგი) პირობები; მოცვის მსოფლიო ბაზარი დეფიციტურია, მზარდია მოთხოვნა; პროდუქტის მაღალი ხარისხი; სახელმწიფოს მხარდაჭერა; მოსავლის ნაადრევად მიღება; წარმოების დაბალი დანახარჯები და მაღალი რენტაბელობა; საქართველოს ტერიტორიული მდებარეობა, კერძოდ, ნაკლები სატრანსპორტო დანახარჯებით ევროპისა და აზიის ბაზრებზე გასვლა; შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობა; ნედლეულის (ნერგები) ხელმისაწვდომობა.

- სუსტი მხარეები: ლოგისტიკის გაფართოება; ჯიშობრივი მრავალფეროვნების ნაკლებობა; ცნობადობის ამალგება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე; მარკეტინგის სრულყოფა.

- შესაძლებლობები: მოთხოვნადი ბაზარი (შიდა და საგარეო); მზარდი ფასები; ექსპორტის გაფართოება; ახალი ფართობების ათვისება; გადამამუშავებელი წარმოების განვითარება.

- საფრთხეები: მოსალოდნელია მზარდი კონკურენცია, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ბაზრებზე; ინფლაციური პროცესები და ვალუტის კურსის არასტაბილურობა.

-

დასკვნა

შესწავლილი მასალის საფუძველზე ვასკვნით:

- არსებული მდგომარეობით, დეფიციტურია ლურჯი მოცვის როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზარი. ყოველივე ეს სტიმულს უქმნის აღნიშნული კულტურის წარმოება ფართოდ გავრცელდეს, რაც ფერმერთა შემოსავლების გაზრდის წინაპირობაა;

- საქართველოში არსებული კლიმატური პირობები, კენკროვანი კულტურების განვითარებისა და გავრცელების მხრივ განხორციელებული სამუშაოები საუკეთესო საფუძველს ქმნის საადრეო ლურჯი მოცვის კულტურის წარმოებისათვის, რომელიც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს გაზარდოს ექსპორტი;

- დასავლეთ საქართველოში არსებული მჟავე ნიადაგები საუკეთესო საფუძველია მოცვის წარმოების გაფართოებისთვის, ამასთან, ქვეყანას აქვს გამოყენებელი შესაბამისი სტრუქტურის მიწის ფართობები, რომლის გამოყენება შესაძლებელს გახდის გაშენდეს მოცვის პლანტაციები;
 - პრობლემებია ლოგისტიკური თვალსაზრისით, რაც მოცვის მზარდი ბაზრის კვალდაკვალ შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას საჭიროებს;
 - მნიშვნელოვანია მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც კიდევ უფრო ცნობადს გახდის საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვის უნიკალურ თვისებებს;
 - მიუხედავად იმისა, რომ ჯეროვანია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა აგრარული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში, დამატებით საჭიროა ფერმერების ინფორმირებულობა ლურჯი მოცვის წარმოების ფართო შესაძლებლობებისა და მისი რენტაბელურობის შესახებ, რათა მეტი ბენეფიციარი ჩაერთოს დაფინანსების პროგრამებში;
- ამდენად, ლურჯი მოცვის განვითარება საქართველოში პერსპექტიული ბიზნესია, რომელიც მრავალფეროვანს გახდის ქართულ აგრარულ პროდუქტს, იგი შემოსავლის წყარო იქნება მოსახლეობისათვის და ქვეყნის ეკონომიკასაც გარკვეულ სარგებელს მოუტანს.

ლიტერატურა:

- შენგელია ზ. (1983), სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში, თბილისი.
- დათეშიძე ლ. (2000), საქართველოში სამედიცინო მცენარეთა წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები. „მეცნიერება“, ევრაზიის ფონდის გრანტი, USAID-ის რესურსები. მხარდაჭერა: ACDI – VOCA (USAID resources) together with GEPA, BESO (British Executive Service Overseas) – TACIS program (United kingdom), თბილისი.
- ჩავლეიშვილი მ. (2012). მოცვის მსოფლიო წარმოება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“. შრომების კრებული, თსუ.
- მონაცემები დამუშავებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების საფუძველზე, (2019). <http://www.fao.org/faostat/en/#data/QC> /ბოლო ნახვა, 3 აგვისტო 2021/.
- 2020–2021 Blueberry Yearbook Reveals Southern Hemisphere Export Data, June 10, 2021.
- <https://www.producereport.com/article/2020-2021-blueberry-yearbook-reveals-southern-hemisphere-export-data>,

- საქართველოს ფლორა. I-XI ტომი. თბ., 1971 - 1987.
- მოცვის წარმოების აგროტექნოლოგია. (2020). USAID REAP, მებაღეობა. <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/motsvis-tsarmoebis-agroteqნologia.html> /ბოლო ნახვა 7 აგვისტო 2021/.
- რიჩარდ დ., ბობოქაშვილი ზ., (2007), ღუჯი მოცვი – ახალი პერსპექტიული კენკროვანი კულტურა. ჟურნ. აგროინფო, თბილისი.
- **ღუჯი მოცვი - დარგვა, მულჩირება, მოშენება, ბიზნესი, მებაღეობა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, (2021).**
- <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/lurji-motsvi-dargva-mulchireba-mos-heneba-biznesi.html> /ბოლო ნახვა 6 აგვისტო, 2021/.
- დანერგე მომავალი (პროექტი), სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეპროექტი, https://rda.gov.ge/projects/read/plant_future/71:child
- „Georgianblue“ **ღუჯი მოცვის პირველი ქართული ბრენდი მსოფლიო ბაზარზე.**
- [HTTPS://BUSINESS-PARTNER.GE/SOFLIS-MEURNEOBA/GEORGIANBLUE-LURJI-MOTSVIS-PIRVELI-KARTULI-BRENDI-MSOFLIO-BAZARZE](https://business-partner.ge/soflis-meurneoba/georgianblue-lurji-motsvis-pirveli-kartuli-brendi-msoflio-bazarze) /ბოლო ნახვა 14 აგვისტო, 2021/.

References:

- Shengelia Z. (1983). samkurnalo mtsenareta kultura sakartveloshi. [Culture of Medicinal Plants in Georgia, Tbilisi.] in Georgian.
- Dateshidze L. (2000). saqartveloshi samedicino mtsenareta carmoebis infrastruq-turis ganvitarebis sakitxebi. evraziis fondis granti, USAID-is resursebi. [Issues of Development of Medicinal Plants Production Infrastructure in Georgia. “mecnireba”, Eurasia Foundation Grant, USAID Resources. Support: ACDI - VOCA (USAID resources) together with GEPA, BESO (British Executive Service Overseas) - TACIS program (United Kingdom), Tbilisi]. in Georgian.
- Chavleishvili M. (2012). mocvis msoplio carmoeba da misi ganvitarebis perspeq-tivebi saqartveloshi. [World Production of Blueberries and its Development Prospects in Georgia, „Priorities for Sustainable Development of Agriculture“ International Scientific-Practical Conference, Proceedings, TSU]. in Georgian.
- Data are processed based on the information of the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), (2019). <http://www.fao.org/faostat/en/#data/QC> / last view on August 3, 2021 /. in Georgian.
- 2020–2021 Blueberry Yearbook Reveals Southern Hemisphere Export Data, June 10, 2021. <https://www.producereport.com/article/2020-2021-blueberry-yearbook-reveals-southern-hemisphere-export-data>.
- sakartvelos plora. [Flora of Georgia. Volume I -XI. Tb., 1971 - 1987.] in Georgian.

- motsvis tsarmoebis agroteknologia. [Agrotechnology of Blueberry Production, (2020), USAID REAP, Horticulture.] in Georgian. <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/motsvis-tsarmoebis-agroteknologia.html> / Last view on August 7, 2021 /.
- Richard D., Boboqashvili Z. (2007). lurji mocvi – akhali perspeqtiuli kenkrovani kultura. (2021). [Blueberries - A New Promising Berry Crop, Journal Agroinfo, Tbilisi]. in Georgian.
- lurji mocvi – dargva, mulchireba, mosheneba, biznesi, mebageoba (2021). [Blueberry - Planting, Mulching, Cultivation, Business, Gardening, Practical Guide, (2021)]. in Georgian.
- <https://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/lurji-motsvi-dargva-mulchireba-mosheneba-biznesi.html> / Last Vision August 6, 2021 /.
- proeqti „danerge momavali“, soplis meurneobis ganvitarebis saagento, kenkrovani kulturebis dafinansebis qveproeqti [Project „Introduce Future“, Agricultural Development Agency, Berries Crop Financing Subproject]. in Georgian.
- https://rda.gov.ge/projects/read/plant_future/71:child
- „Georgianblue“ lurji mocvis pirveli qartuli brendi msoplio bazarze [“Georgianblue“, the First Georgian Blueberry Brand on the World Market] in Georgian.
- <https://business-partner.ge/soflis-meurneoba/georgianblue-lurji-motsvis-pirveli-kartuli-brendi-msoplio-bazarze> / Last view on August 14, 2021 /.

Blueberry Production Opportunities in Georgia

Marina Chavleishvili

Associate Professor

Iv. Javakhishvili

Tbilisi State University

marina.chavleishvili@tsu.ge

There is a growing trend in demand for berry crops, including blueberries, worldwide. The European Union, Russia, China, the United Arab Emirates and other countries stand out in this regard. Today, the blueberries produced in the world do not meet the market demand. Exports of raw blueberries to the EU have doubled in the last ten years. However, in the wake of the growing market, the resources available in many regions are not yet fully utilized.

It was found out that Georgia has one of the best soil-climatic conditions for the production of blueberries, which allows obtaining quality raw materials in accordance with international standards. Thus, the current situation makes the analysis of blueberry production and its future development even more relevant. It is important to assess the potential of the country in this field in order to

determine the parameters of production efficiency, increase the export potential and raise awareness.

The paper presents the opportunities for blueberry production in Georgia, market analysis and its development trends. There is assessed the world market of blueberries, the current situation in the article. The export potential of blueberries is analyzed, future prospects in the international market, SWOT assessment is presented. Its potential advantages, weaknesses, opportunities and threats are identified in order to establish a place in the international market of blueberries produced in Georgia. The above mentioned research will help the stakeholders interested in these issues to thoroughly analyze the opportunities for the production and development of blueberries as one of the most promising agricultural crops in Georgia in the future. Based on the analysis, the relevant conclusions are presented.

Keywords: Blueberry world market, blueberry production, blueberry export import, blueberry price.

JEL Codes: R30, R31, R32.